**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი"

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)
2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.
3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.
4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили."

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 8 იანვარს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება

პირველად ამ სეზონში

I

**რუსთაველი**

ისტორიული პიესა 4 მოქმედ., კ. მესხისა

II

პირველადვე ახალი პიესა

**საშოვნელსა ნაშოვნი სჯობიან**

ვოდევილი 1 მოქმედ., გადმოკეთ. ა—საგან

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ავალიშვილისა, მელიქიშვილისა, მძინაროვისა; ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ადმინისტრატორი ვ. გუნია

კვირას, 10 იანვარს, ამა 1893-ს წელს ქუთაისის კრუჟოკის დარბაზში დანიშნულია **ბალი** სასარგებლოდ ღარიბ მოწაფეთა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

ბილეთის ფასი მამაკაცთათვის 2 მან., და ქალთათვის—1 მან.

დასაწყისი 9 საათზედ.

ბილეთების ყიდვა შეიძლება „კრუჟოკის" შვეიცართან.

გამგე ბალისა კნეინა მარიამ არჩილის ასული წერეთლისა. (3—1)


ტფილისი, 7 იანვარი

ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარს შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე. ჩვენს საქართველოში არც ერთი იმისთანა ქალაქი არ გვეგულება, რომ თვითონ აკეთებდეს რასმე და ამდიდრებდეს ქვეყანას ან ფაბრიკის, ან ქარხანის რისამე ნაწარმოებითა. დიდი ქალაქები, როგორც, მაგალითებრ, ტფილისია და ქუთაისი, წარმოადგენს მარტო ბაზარს, საცა სოფლის ნაჭირნახულევი და ნაწარმოები საღდება, ისიც დიდის ვაივაგლახითა და გაჭირებით, და საიდამაც შორიდამ, სხვა ქვეყნიდამ მოტანილი საქონელი გადის ვაჭრობის შემწეობით სოფლად. პატარა ქალაქები ხომ მარტო ბუდეებად გადაქცეულნი არიან, სადაც თავი მოუყრია ათას წურბელასავით ქვემძრომსა, საცა ბევრნაირი ჭია-ღუა ჭფუსფუსებს, რომ გამოსწოვონ და გამოღრღნან სოფელი. სხვა არა ემუნათება-რა სოფელს ჩვენებურ ქალაქებისაგან.

რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთად-ერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინცა.

თუ ეს წინად თქმული მართალია,—და ამ მართალს მივიღებთ სახეში, მაშინ ცხადად დანახული იქნება ის გზაც, რომელსაც ჩვენ უნდა დავადგეთ ჩვენის განკარგებისათვის და ეკონომიურ შემძლეობის გაძლიერებისათვის. ამ გზაზედ დამდგარმა კაცმა რომ თვალი დააკვირვოს ჩვენს სოფელს, დაინახავს, რომ ეკონომიურად გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს, ბუნებისაგან თითქმის არა აკლიარა. ზომიერი ნელ-თბილი ჰავა, ნაყოფიერ-რი და თითქმის ყველაფრის უხვადმომცემი მიწა მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენადაც საჭიროა, რომ ერმა უტკივნელად თავი ირჩინოს და ყოველს სფეროში ღონივრად გაიწივ-გამოიწიოს წარმატებისა და კეთილ მდგომარეობისათვის.

რასაკვირველია, იმისათვის, რომ მადლიანმა ჰავამ და ნოყიერმა მიწამ თავისი ჰქმნას, თავისი სიკეთე საკმაო სავსებით მოგვიტანოს, მარტო ერთი სახსარია: ეგ გაძლიერება იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათ-მოქმედება ჰქვიან, ანუ, ერთიანი სახელი „სოფლური მეურნეობა".

ხოლო ჭირი ეს არის, რომ ეგ სოფლური მეურნეობა საზოგადოდ და მიწათ-მოქმედება საკუთრად ჩვენში ჯეროვანს სიმაღლეზე არა სდგას. ამას ბევრი მიზეზი აბრკოლებს ზოგი სოციალური, ზოგი იურიდიული, ზოგი წმინდა ეკონომიური. პირველ ორგვარ მიზეზს ჩვენ აქ არ შევეხებით, რადგანაც შორს წაგვიყვანდა მათის ამბების მოთხრობა. ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვა მარტო ეკონომიურ მიზეზებს მივმართოთ.

ამ მხრით რომ დავაკვირდეთ ჩვენებურ მიწათ-მოქმედებას, დავინახავთ, რომ ამას ჩვენში ორი დიდი ღონე აკლია: ერთი ცოდნა და მეორე სამუშაოდ გადადებული ქონება. ერთიცა და მეორეც იგი განძია, ურომლისოდაც არავითარი წარმოება საზოგადოდ და მიწათ-მოქმედება საკუთრად ფეხსაც წინ ვერ წასდგამს. ცოდნა და ქონება ერთად იგი თავნია (капиталъ), იგი ძირის-ფულია ერისა, რომელიც თუ არ მიეშველა მიწას, იგი მიწა, რაც გინდ ნაყოფიერი იყოს, წარმოადგენს ცხრაკლიტით დაკეტილს საღაროს სიმდიდრისას, უქმად დებულისას და ერისათვის დაკარგულისას.

მიწა გვაქვს, ხოლო ორივ ხსენებული განძი, ურომლისოდაც მიწა უქმია, უნდა ვიშოვოთ, უნდა მოვიხერხოთ. საცა მთელს ერზეა ლაპარაკი, იქ, რა თქმა უნდა, ცალ-ცალკედ, თვითეულად გარჯა და მეცადინეობა ბევრს არასფერს დააჩნევს მთელის ერის ცხოვრებასა, ბევრს არასფერს მოუმატებს იმ განძს, რომელიც ასე საჭიროა ჩვენთვის საერთოდ, საზოგადოდ. განცალკევებულ გარჯას და მხნეობას იქაც-კი, საცა ცოტად თუ ბევრად გახშირებულია, ბევრი არაფერი შეუმატნია ერისათვის საზოგადოდ და ჩვენში ხომ ამისი ჩამი-ჩუმიც არ ისმის. მაშასადამე, ამ კერძოდ გარჯასა და მხნეობაზე ჩვენ არავითარი იმედი არ უნდა ვიქონიოთ, თუნდ იმიტომ-რომ ამისათვის არც ერთს ჩვენგანს ცალკე ღონე არა აქვს, არც გონებრივი და არც ქონებრივი. აბა მიიხედ-მოიხედეთ, თუ თვითეული ჩვენგანი მარტო დღიურ ლუკმის საშოვნელად არ აღამებდეს დღეს და საღლა აქვს დრო და მოცალეობა, გონება და ქონება, რომ ერის საერთო განკარგებას და გაძლიერებას მოახმაროს, შესწიროს.

ხოლო იქ, საცა თვითეული უღონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად. ერთიანი ხელის გამოღება, ერთიანი გარჯა, მხნეობა, თვითეულისაგან ერთად მოგროვილი ქონება, თუნდ ცოტ-ცოტაობით, იმოდენა წყაროს შეჰქმნის შეძლებისას, რომ ჩვენ არც ცოდნის მოპოვება-და გაგვიჭირდება, არც იმ გვარ სამოქმედო ქონებისა, რომელიც ცხრა-კლიტურ კარს მიწის სიმდიდრისას გაგვიღებს ჩვენდა წარსამატებლად და საკეთილდღეოდ.

ჩვენ ამას წინად მოკლედ მოვიხსენიეთ, რომ ტფილისის გუბერნიის გლეხ-კაცობა, ჩვენდა სასიხარულოდ და სხვათა სამაგალითოდ, ამ შეერთების გზას დასდგომია. მას განუზრახავს და ბევრგან განზრახვაც განუხორციელებია, რომ პურის ერთმანეთში გაწერით საზოგადო ქონება გაიჩინონ და ეს ქონება თავის დროზე მოახმარონ მიწების შესყიდვას, ადგილ-მამულების შეძენას, მიწათ-მოქმედების განკარგებას, სარწყავ წყლების გამოყვანას, სკოლების დაარსებას, კაი ჯიშის საქონლის მოშენებას და გამრავლებას, სამეურნეო მანქანების შეძენას და სხვა ყოველგვარ ღონისძიებას, რომელიც შორიდამ თუ ახლოდამ ხელს უწყობს სოფლურ მეურნეობის წარმატებას. ამ წელიწად-ნახევარში ამ გზით აქაურმა გლეხ-კაცობამ ნახევარ-მილლიონზე მეტი შეძლება მოიგროვა ისე უტკივარად

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

ორი უსიამოვნო ამბავი.—ღვინის ალებმიცემობის ამხანაგობა.—გაზეთი „მეურნე".

მართალია, ჩვენი თანამემამულე დღეს პირ-ჩატკბანურებულია გოზინაყით, ღღლვის ჩირით, ჩურჩხელით და სხვა ამისთანა ხილეულობით; მართალია, მე არავითარი სურვილი არა მაქვს ჩავუმწარო სიტკბოება და სიამე ახალწლისა ჩემს მკითხველს; პირ-იქით, ჩემი უგულითადესი ნატვრა მუდამ ის არის, რომ, რაც შეიძლება, მომეტებული ნაწილი ქვეყნიერობისა იყოს ბედნიერებასა და სიკეთეში,—მაგრამ მაინც არ შემიძლიან კიდევ და კიდევ საკვლაოდ გადავდო ორი ამბავი ჩვენის ცხოვრებისა, რომელიც სულ კალმის წვერზე მადგა აგერ რამდენი ხანია და რომელიც დღემდე ვერ გავუზიარე მკითხველს, რადგან სხვა გვარმა საგნებმა მოინდომა მისი ყურადღება და იმათი უპასუხოდ დატოვება მოუხერხებელი იყო. ეს ორი ამბავი ერთისა და იმავე სათავიდგან მომდინარეობს, ერთი და იგივე ხასიათი სჭირს და ერთნაირადაც უსიამოვნო გუნებაზედ უნდა დაეყენებინა ყოველი განვითარებული და მართებული ქართველი. ერთი ამბავი შეეხება კახეთის თავად-აზნაურთა გარდაწყვეტილებას, რომლის ძალითაც გამოცხადდა სურვილი ამ წოდების წარმომადგენელთა, რომ ღვინის დაყენებისა და ალებ-მიცემობის საზოგადოებაში მარტო თავად-აზნაური იყოსო, ხოლო გლეხ-კაცობა ნუო. უეჭველია, ეს ამბავი გულს აუდუღებდა ყოველს მოკეთეს ჩვენის ქვეყნისას, რომლის დამღუპველი ყოველთვისა ყოფილა ჩვენთა წოდებათა მოურიგებლობა და რომლის ამშენებელი და აღმადგენელი ძალა ყოფილა ჩვენის ერის ერთობა, წოდებათა ერთი სული და გული, ერთი ცხოველს-მყოფელი აზრი განუყრელის ძმობისა, ერთი სატრფიალო საგანი. კახეთის თავად-აზნაურობა, ვითარცა მოწყვეტილი ქვეყნის ტრიალს და თავ-მინებებული განცალკევებულ მხარეს, ეტყობა, სულდგმულობს კიდევ იმ შეუშურველის წარმოდგენით, რომ იგი სხვა სისხლისაა, რომ მას კვლავ მოსდგამს ლუარსაბ თათქარიძეობა და, მაშასადამე, შორს მისგან აზრი, რომელსაც საქართველოს დიდება მხოლოდ გლეხ-კაცთა და ყოველ სხვა წოდებათა ერთობა მიაჩნია.

ამისივე მზგავსი ამბავი მოჰხდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზედ, 20 დეკემბერს. კრება ირჩევდა სარკინიგზო კომისიის წევრთ. გამოცხადებული იყო მრავალთა სურვილი, რომ ბ-ნი ნ. ი. ნიკოლაძე, როგორც მცოდნე, მოხერხებული, მხნე და გამრჯე კაცი, ამოერჩიათ ხსენებულის კომისიის წევრად. წარმოიდგინეთ, რომ ბ-ნი ნიკოლაძე ვერ მოჰყვა წევრად მარტო იმიტომ, რომ იგი არ არის... რა არ არის? მცოდნე?—არა!.. გამოცდილი?—არა!.. გამრჯე?—არა, არა და ათასჯერ არა!.. იგი თავისის ცოდნით, ვგონებთ, ცნობილია საყოველთაოდ. იმან თავისის მოხერხებით რკინის გზის შტო გააყვანინა ტყიბულამდე. მაშ რატომ?—იმიტომ რომ აზნაური არ გახლავთ. მერე განა კომისიას აზნაურები უჭირს? კომისიას მიეცით მცოდნე და გამოცდილი კაცი. წევრის გვარიშვილობას რას დაგიდევს კომისია! საქმიან კომისიაში თამამად შეგიძლიანთ ამოირჩიოთ არა თუ გლეხი, არამედ მონა, ტყვე, პატიმარი, ყოველ ღირსებას ახდილი კაცი, თუკი „თავისი თავი თვით ახლავს", თუ-კი... და სხვანი, განმარტება აღარ არის საჭირო...

**

რაიცა შეეხება თვით აზრს ღვინის დაყენებისა და ალებ-მიცემობის საზოგადოების დაარსებისას, ეგ ისეთი საქმეა, რომლითაც, სხვათა-შორის, უნდა ჩავარდეს საძირკველი ჩვენის ქვეყნის წარმატებისა და განძლიერებისა. განა მართლა ჩვენი უბედურობა უფულობაა? სულაც არა. განა ცოტა მილიონები გამოვზიდეთ

და შეუწუხებლად, რომ არც-კი არავის შეუმცნევია ეს ასეთი დიდ-მნიშვნელობიანი მოძრაობა გლეხკაცობისა.

რატომ ამ გზაზედვე არ უნდა დადგეს ქუთაისის გუბერნიის გლეხკაცობა? რატომ იქ არავინა ჰფიქრობს, რომ გლეხ-კაცობა შეაგულიანოს და ამისთანა საქმისათვის ხელი გამოაღებინოს. დარწმუნებული ვართ, რომ იქაური გლეხ-კაცობა სიხარულით მიეგებება ყოველს ამისთანა საქმის დამწყებს და მრჩეველს. რატომ ჩვენებური თავად-აზნაურობა არ ახილებს ამისთანა საქმისათვის თვალს? განა იმას-კი არ შეუძლიან ამ გზითვე საზოგადო ქონება გაიჩინოს და თავის უნუგეშო ცხოვრებას ამით სახსარი მისცეს, უნუგეშობისაგან გამოვიდეს. განა დიდი რამ არის, რომ თავად აზნაურობამ გაიწეროს თუნდ პურად, რამოდენიმე ნაწილი ყოველ წლით შესატანი საზოგადო ქონების დასაარსებლად და, როცა ამ გზით საკმაო ფული მოგროვდება, მოახმაროს თავის გაღონიერებას, გაძლიერებას ქონებით, თუ გონებით?

ეს თავად-აზნაურობისათვის მით უფრო ადვილად მოსახდენია, რომ მას თავისი საკუთარი საგუბერნიო მართველობა ჰყავს, რომელსაც შეადგენს გუბერნიის მარშალი და დეპუტატთა კრებული. გლეხ-კაცობას არა ვითარი დაწესებულება იურიდიული არა აქვს საგუბერნიო. ამიტომაც საგუბერნიოდ მოწყობა ამ საყურადღებო საქმისა გლეხ-კაცობისათვის ამ მხრით გაძნელებულია და უიმისოდ ვერ გადარჩება, თუ კანონ-მდებლობას არ მოსთხოვა, რომ ამ საგანს საგუბერნიო მართველობა და გამგეობა გაუჩინოს. თავად-აზნაურობას-კი ამისთანა დაბრკოლება არ დახვდება წინ, თუ მოიწადინა შეერთებულის ღონით და ქონებით თავის ბედის გასწორება, თავის თავის გამოკეთება და გაძლიერება.

ვისურვებთ, რომ ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ჩვენმა მარშლებმა და ყოველმა ცალკე კაცმა, რომელსაც კი ჩვენის ქვეყნისათვის გული სტკივა. ამასაც დაუმატებთ, რომ ამისთანა საქმის დაწყება და გაძღოლა ძნელი არ არის. წესი და რიგი, როგორ უნდა დაეწყოს ეს საქმე, უკვე გამოძიებულია და შემუშავებული გლეხკაცობისათვის. ამ შემუშავებულს წესსა და რიგს მხოლოდ მცირეოდენი ცვლილება მოუნდება, თავად-აზნაურობის მდგომარეობის შესაფერად და სხვა არა ფერი. საჭიროა მხოლოდ კაცი გამოჩნდეს ჩვენში, რომ ეს საქმე ითაოს, და განხორციელება ადვილია. დასასრულ, ამასაც დაუმატებთ, რომ ეს იმისთანა საქმეა, რომელიც საუკუნოდ სახსოვრად გახდის იმის სახელს, ვინც ამ საქმეს მესვეურობას და მეთაურობას გაუწევს. ესეც უნდა იცოდეს თავად-აზნაურობამ, რომ აქ მცირეოდენის გაწირვა და გაცემა დიდის სიკეთის მომავლინებელია ყველასათვის ერთად და სათითაოდ ცალკე, და ყოველი დაზოგვა და არ გაცემა დაკარგვაა.

სწორედ ამისთანა საქმეზე არის თქმული, რომ „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

# ახალი ამბავი

⁂ გამოვიდა პირველი ნომერი სამეცნიერო და სალიტერატურო „ნახატებიან“ გაზეთისა „კვალი“. გაზეთში სამი სურათია: 1) ქართველი დედაკაცი ბუხარში ცეცხლს აჩაღებს; 2) ბაგრატ V დიდი; 3) პატარა რუკა ქართლ-კახეთისა და 4) დახატულნი არიან ქართლელი, გურული და მეგრელი. ქართლელს ხონჩა უჭირავს ხელში და ახალწელს ულოცავს დიასახლისს, რომელიც ქართულად ჩაცმული და თავდახურულია.

გაზეთში დაბეჭდილია: „მიმკვლევა“ ლექსი—აკაკისა; „ჩვენი გულის პასუხი“—წერილი რედაქციისა „მიმოხილვა“—გ. წერეთლისა; „სტუმრები“ ლექსი—აკაკისა; „ბაგრატ დიდი“—გ. წერეთლისა; „განთიადი“ ლექსი—აკაკისა; ორი „მოსწრებული სიტყვა“; „ცხელ-ცხელი ამბები“—აკაკისა და „მეკვლე“ (საახალწლო ამბავი)—ს. მგალობლიშვილისა.

⁂ ჩვენ მივიღეთ მღ. ლაზარე ტურიაშვილისაგან ერთი მანეთი კერესელიძის ოჯახობისთვის გადასაცემად.

⁂ ჩვენ მივიღეთ ბათუმიდამ 190 მან. ფული და შემდეგი წერილი:

ვაცხადებთ რა უუგულითადესს მწუხარებას განსვენებულის მოღვაწის ივანე კერესელიძის გარდაცვალებისა გამო, გიგზავნით ბათუმის ქართველნი იმის სახლობისათვის ცხრამეტს (190მ.) თუმანს, აქაურ ქართველთა და სხვა ტომის კეთილის-მყოფელთა შორის შეკრებილს ბ-ნის სეფე ივანეს ძის მხეიძის მიერ.

⁂ ჩვენ მივიღეთ მოსკოვის სტუდენტებისაგან 3 მან. ბ-ნ თ. ჟორდანიას საისტორიო „ქრონიკების“ დასაბეჭდად. ამ ფულისა გვქონდა აქამდე 265 მან. შესდგა 268 მან.

⁂ ამ მოკლე ხანში მოხდება მორიგი კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, რომელზედაც არჩეულ იქმნება ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგებელი.

⁂ პირველ იანვრიდგან ქალაქის გამგეობამ მოუმატა ყასბებს საკლავის გადასახადი. აქამომდე მსხვილ საკლავზე ახდევინებდა სამ აბაზს, ახლა ახდევინებს თხუთმეტ შაურს, ხბოზე ართმევდა ორ შაურს, ეხლა—ცამეტ კაპეიკს, ცხვარსა, თხასა და ღორზე—რვა კაპეიკს, ეხლა ორ შაურს, ბატკანსა და კოჭზე—სამ კაპეიკს, ეხლა იღებს ოთხს. ეს გადასახადი იმიტომ მოუმატა, რომ წელს უნდა ააშენოს გამგეობამ ახალი დროებითი საყასბო, რომლის გასამართავად დასჭირდება რვაას თუმნამდე.

⁂ ქალაქის თვით-მმართველობა წელიწადში ორმოც თუმანს აძლევს შემწეობას ორს ღარიბ სტუდენტს, რომელთაც სწავლა დაუმთავრებიათ ტფილისის რეალურ სასწავლებელში. ამ ფულისა შარშან-წინ დარჩა ოცი თუმანი. ეხლახან ქალაქის მოურავს მოუვიდა თხოვნა სტუდენტ თავად ჯანდიერისა, რომელმაც სწავლა მიიღო ხსენებულს სასწავლებელში, დასთხოვს—ეგ დარჩომილი ფული მე გამომიგზავნეთო. უეჭველია, სამოსწავლო კომიტეტი შეიწყნარებს ამ თხოვნას და ხელს გაუმართავს გაჭირებულს სტუდენტს ჯანდიერს.

⁂ მთავრობამ დაამთავრა აშენება სახელმწიფო მუზეუმისა ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილში და ეხლა წინადადება გაუგზავნა ქალაქის გამგეობას—შეგიძლიან იტვირთო ბაღის მოვლა და პატრონობაო. გამგეობა თავისის მხრივ დაჰყაბულდა ამასა და ეხლახან სარჩიელს წარუდგენს საბჭოს, რომ ამან ას ორმოც-და-ხუთი თუმანი ფული გადასდოს ბაღის მოსწორებასა და გალამაზებისათვის. ნეტა ამ გაზაფხულისათვის მაინც გათავდებოდეს ეს საქმე, რომ ხალხს შეეძლოს რიგიან ადგილზედ სეირნობა შუა ქალაქის უკეთეს ნაწილში.

⁂ ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ბეგიჩევის წიგნის მაღაზიის კატალოგი, № 7. ამ კატალოგში მოხსენებულია რუსული და უცხო ქვეყნების წიგნები, რომელიც შეეხება სხვა და სხვა მეცნიერებას და სწავლა-ცოდნას.

⁂ დ. ლანჩხუტი (ოზურგეთის მაზრა): აგერ რამდენი ხანია ველით ჩვენში საფოსტო კანტორის დაარსებას, ფულიც გამოვიღეთ და გავგზავნეთ, სადაც ჯერ იყო, და დღემდე-კი არა გველირსა-რა.

31 დეკემბერს ღამე მატარებელი არ გაჩერეს იმ ბაქანთან, რომელიც გამართულია კაპიტნარსა და სამტრედიის შორის და ამის გამო კინაღამ უბედურება არ დატრიალდა, რადგან ხალხმა მაინც თავისი არ დაიშალა და გაქანებულ მატარებლიდამ ბევრნი გადახტნენ. ზოგმა ფეხი იტკინა, ზოგმა ხელი იღრძო, მეტადრე ნაღვინევებს მოუვიდათ ცუდი საქმე.

⁂ ქუთაისი: აქ რავდენიმე შეძლებული მოქალაქე აპირობს ამხანაგობის დაარსებას ქუთაისში ცხენის რკინის გზის გასამართად, მილით წყალის გასაყვანად და სხვა სასარგებლო საქმეების საწარმოებლად. სასურველია, ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანონ: „ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო“, ნათქვამია.

⁂ ბაქო: 6 იანვარს ღამის 12 საათზე ვიღაცამ გასტეხა რკინის გზის სახლის ფანჯარა და წაიღო ნივთები 385 მანეთისა. ჯერ ქურდი ვერ უპოვნიათ.

⁂ სუხუმი: აქ ერთმა სამსახურ გარეშე მყოფმა პოლკოვნიკმა ამ ბოლოს დროს განიზრახა შედგენა დამზოგველ ამხანაგობისა. აქ ყველაფრის დიდი სიძვირეა და ამიტომ იმედი აქვთ კაი სამსახურს გაუწევს ეს ამხანაგობა თავის წევრთ. საშიშია მხოლოდ, რომ ამ საზოგადოებას იგივე შედეგი არ მოჰყვეს, რაც სხვა ამ გვარ საზოგადოებათ მოჰყვა ჩვენში.

⁂ იქიდამვე: სუხუმელი ვაჭრები სჩივიან, ვაჭრობა არა გვაქვსო, და ჩვენ თვალწინ-კი ამ შვიდისა და რვა წლის განმავლობაში ისეთი კაცები გამდიდრდნენ, რომელთა თავნი ფული იყო არა უმეტეს ოთხას-ხუთასის მანეთისა. რიგიან ვაჭარს აქ ბლომად შეუძლიან შეიძინოს ფული. ჩვენ ჩვენის მხრივ ვურჩევთ, ამისთანა ვაჭარნი მოვიდნენ აქ და დაიწყონ ვაჭრობა, არას წააგებენ და ხეირს-კი დიდსა ჰნახავენ.

⁂ გაზ. „Тиф. Лист.“-ი ამბობს, რომ ფოტოგრაფი ბაბალოვი ჰყიდის განსვენებულის ივ. კერესელიძის სახლობის სასარგებლოდ ამ მოღვაწის დასაფლავების პროცესიის სურათს თითოს თითო მანეთადაო. ამ სურათის შესაძენად მსურველთ შეუძლიანთ ჩვენის გაზეთის კანტორას მოჰმართონო.

⁂ 6 იანვარს სოლოლაკის ქუჩაზე ეტლში უეცრად გარდაიცვალა ნიკოლოზ გრიგოლის ძე იზმიროვი 22 წლისა გულის სიდამბლით.

⁂ 5 იანვარს ნავთლუღში ქუჩაზე სიარულის დროს უეცრად გარდაიცვალა სიმონ ბუდროვი 55 წლისა.

## მთავრობის განკარგულებანი

ვერცხლის მედალი ანნას ლენტით ებოძა მცხოვრებს ქუთაისის გუბერნიისა, სენაკის მაზრისა, დ. მარანის საზოგადოების მამასახლისად ნამყოფს, გლეხს იესე სამსეიშვილს.

ვერცხლისავე მედალივე სტანისლავის ლენტით ებოძა: მცხოვრებთ ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისისავე მაზრის—სოფელ გუმათისას, ბესო იოსელიანს და ბესარიონ ქიშქარიანს, სოფელ ხანოჯისას—მარკოზ კოლუაშვილს, ოფურჩხეთის საზოგადოების მამასახლისს—ნიკო ჯანელიძეს, ოზურგეთის ქალაქის დეპუტატს—გლეხს ივგორ ქელიძეს, ხარჯის ამკრეფს ქალაქ ქუთაისისას—საბა გოგავას და ტფილისის გუბერნიისა და ამავე მაზრის სოფელ წავკისის მცხოვრებს—ზაქარია ელიზბარიშვილს.

### სიტყვა,

თქმული ი. კერესელიძეს დასაფლავების დროს, 26 დეკემბერს 1892 წ., პეტრე უმიკაშვილის მიერ *)

ხალხი იშლება და საფლავზე არავისი ხმა არ ისმის. ჩვენში შესაძლე-

*) ამ სიტყვასთან ერთად ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილიცა: „ვასრულებ თქვენს თხოვნას, კერესელიძის საფლავზე წარმოთქმულს სიტყვას გიგზავნით, თუმცა ცოტა გვიან. მე სრულებით განზრახვა არა მქონ-

---

„პრიკაზიდგან“? განა ცოტა მილიონებს გამოვეზიდებით დღეს ბანკებიდგან? ბევრსა და ძალიან ბევრს. ფული ხურჯინებით გვიზიდნია, მაგრამ იმას ჩვენ ვერ წაუყვანივართ წინ. რის წინ! სულ ფულის ბრალია ანუ მის გამოყენების არცოდნისა, რომ წლითი-წლობით, დღითი-დღე უკან-უკან მივდიოდით და აი ეხლა უკიდურესობამდე მივაღწიეთ. უფულობა კი არა, უჭკუობაა ჩვენი უბედურება. ამით არ მინდა ვსთქვა, ვითომც ბუნება ჩვენზედ გამწყრალი იყოს და ვითომც ისე გამოერკვნოს ჩვენი თავი ცხოვრებაში, რომ გონებაზედ უკაცრაოდ ვყოფილიყვნეთ. სულაც არა, იქნება ნიჭითა და გონებით ქართველი კაცი ბევრს სხვებზე მაღლაც იდგეს, მაგრამ ჩვენს გონებას დღემდე არა ჰქონდა შესაფერი საზრდო და გამოუფხიზლებელს ბურანს იყო მიცემული. გონების უსაზრდოობამ დაჰბადა ისა, რომ ჩვენ ჭკუით ვერ გამოვიყენეთ უთვალავი სიმდიდრე, რომელიც დაგვიტოვეს ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა. საქართველოს ბუნება ისეთის მადლით არის შემკული და ისეა დაბერტყილი მაზედ ღვთის უხვი კალთა, რომ ამ ბუნების პატრონი ყველაფრით წინ უნდა იდგეს თვით ძრიელ დაწინაურებულ ერზედაც-კი. ჩვენი ქვეყანა დღეს უნდა წარმოადგენდეს გაერთიანებულს ბაღს სამოთხისას, სადაც ნეტარების მეტს სხვას არაფერს უნდა ჰქონდეს ადგილი. მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ დროების ცვალებადობას ვერ შევხვდით ისე, როგორც მოითხოვდა ვითარება საქმისა, ჩვენ არ ვიყავით მომზადებული ახალის ეკონომიურის წეს-წყობილებისთვის, და აგერ თითქმის ყველაფერი წაგვივიდა ხელიდგან. დაგვრჩა თავისუფლად მარტო გახრიოკებული და გავერანებული მამულ-დედული, ხოლო რასაც-კი ცოტაოდენი თვალის ჩინი აქვს, ყველაფერი დაგირავებული გვაქვს ან ბანკებში, ან ფულის პატრონთა ხელში...

მაგრამ თვით ამ გაჭირვებულ ყოფაში კიდევ არის გზა ხსნისა და ამ გზას არ უნდა აუქციოს ფეხი ქართველმა კაცმა. ეს გზა არის ჩვენი მწარე გამოცდილება თითქმის მთელის ერთის საუკუნისა. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მიწა-წყალზედ უმეტესი ნაწილი მწარმოებელთა არის ქართველი ხალხი და უმეტესივე ნაწილი მხმარებელთა არის იგივე ქართველი ხალხი. მიუხედავად ამისა, ქართველი კაცი ვერ გააკეთა ვერც წარმოებამ და ნამეტნავად ვერც მხმარებლობამ, მაშინ როდესაც ყველგან, სადაც ჭკუითა ჰფხიზლობს ხალხი, წარმოება და ხმარებლობაც-კი შეადგენენ ქვეყნის უანგარიშო სიმდიდრეს და განცხრომას. ჩვენი მწარმოებელი მშრალს ლუკმაზედ ძლივს გამოდის, მაშინ როდესაც მისის ნაწარმოებით სხვები მილიონებს იჩხრიალებენ ჯიბეში; ჩვენი მხმარებელი ყოველთვის მოტყუებულია სავაჭროში, ზარალით უნდა იყიდოს და მწარედ თავში იცემს ხელი, ამავე დროს მოვაჭრემ-კი მილიონებივე უნდა ჩაითვალოს მეორე ჯიბეში.

ეს გვაჩვენა გამოცდილებამ და აბა ამით გვასწავლა კიდეც ჭკუა, ამით ჩაგვყარა საგონებელში და ხსნაც სწორედ აქედგან უნდა დაიწყოს. ჩვენდა სასიხარულოდ, ხსნა უკვე დაიწყო კიდეცა. დღეს ქართველის ჭკუა იქით არის მიმართული, რომ როგორც ნაყოფი თავისის ნაწარმოებისა, აგრეთვე ალებ-მიცემობისა აღარ დაანებოს იმათ, ვინც ჩიტებივით არცა ჰმკიან, არცა ჰლეწავენ და მაინც სუფრაზედ პირველი ადგილი უჭირავთ. ჩვენი თანამემამულე სამართლიანად იძახის: სხვისაგან არმად მოპოებული არა მინდა-რა, მაგრამ აღარც ჩემსას დავანებებ სხვასაო. ეს უნდა იყოს მისი საცადელი. და რა-კი ერთხელ დატრიალდება ერის გონებაში ასეთი აზრი, მაშინ დაკარგულის გამოტრიალებაც-კი მოსახერხებელია, არა თუ შერჩენა იმისი, რაც თვისის ოფლით მოუპოვებია.

**

სწორედ ამ აზრის გამომხატველია, სხვათა შორის, სურვილი კახეთის თავად-აზნაურობისა, რომელიც ცდილობს და კიდეც განახორციელებს საზოგადოებას ღვინის დაყენებისას დ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი ყოფილა ჩვიდმეტი წელიწადი კაცმა შრომა დასდოს საქვეყნო საქმესა, და არავინ ხმა არ ამოიღოს. ჩვენა გვყავს საზოგადოებანი, რომელთაც უნდა ახსოვდეთ, რომ მათი შრომა იწყება იმ დროიდამ, როდესაც ივანე კერესელიძე გამოვიდა მოქმედების ასპარეზზე. რა დაივიწყებაა!

რომ ვუცქერი ამ გვამს, მასში წარმომიდგება ჩვენი სისუსტე და ძლიერი მხარე. მასში შეერთებული წარმოგვიდგება ჩვენი ღირსება და ნაკლულევანება, სურვილი გულისა და უღონობა საზოგადოებისა.

ნუ დავივიწყებთ იმ დროს, როდესაც გამოვიდა ივანე კერესელიძე საზოგადო ასპარეზზე, როდესაც მიწყდა პირველი აღტაცება საზოგადოების მცირედის ნაწილისა, როდესაც მივიწყებულ იქმნა მწერლობაც და თეატრიც, როდესაც მწერლობის ხმა აღარსად ისმოდა, როდესაც ჩვენი საზოგადოება მიყრუებული იჯდა. იგი გამოვიდა მარტო და გვერდით უდგა მხოლოდ განსვენებული თავ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი. ამის გამოსვლის დღიდამ იწყება ახალი ხანა ჩვენის ცხოვრებისა, როდესაც საზოგადოება და მწერლობა მოქმედებას იწყებს მხოლოდ თავისის ძალით და თავისის იმედით და არა სხვის მოლოდინით. წინად, გიორგი ერისთავი რომ იწყებს მოღვაწეობას, მას მფარველობენ და ახალისებენ ძლიერნი ამა ქვეყნისა; მცირე წარჩინებული ნაწილი საზოგადოებისა მას ახალისებს, სიძნელე მდგომარეობისა თითქოს ჯერ არა სჩანს.

სულ სხვაა კერესელიძის მოღვაწეობის დასაწყისი. ტფილისის საზოგადოება მიყუჩებულია, მიყრუებულია, გამოდის მარტოდ მარტო, ჰმართავს სტამბას, როდესაც ტფილისში მხოლოდ ერთი სახელმწიფო სტამბაა; წელიწადები ისე მიდის, რომ პატარა ქართული წიგნაკიც-კი არ იბეჭდება. ნუ დავივიწყებთ რომ იმ დროს სტამბის გამართვა და წიგნების ბეჭდვა უფრო ძნელი საქმე იყო, ვიდრე ეხლა რკინის გზის გაყვანა. აი ამისთანა გარემოებაში სტამბასა მართავს და წიგნებს ბეჭდავს, თითონვე მუშაობს სტამბის მუშასავით, აწყობს ასოებს, ბეჭდავს, მურს უსვამს საბეჭდს.

სახელმწიფო ხარჯით შენახული თეატრი იკეტება, და 1856 წ. ჯერ ყმაწვილი კაცი, ივანე კერესელიძე, ალექსანდრე ორბელიანის დახმარებით, იჭერს შერმაზანოვის დარბაზს, აკეთებინებს სცენას, ლოჟებს და მოსაწყობს და ერთის წლის მუშაობის შემდეგ თუმცა ეს ბინაც ეკარგება და დასი იშლება, მაგრამ მაინც ხანდახან მოყვარულთა დახმარებით ჰმართავს წარმოდგენას, რომ მოაგონოს ქართველობას: თეატრი არ დაგავიწყდესო.

1857 წელს «ცისკრის» გამოცემას შეუდგა, როდესაც მწერლები არა გვყავს და სამი-ოთხი კაცი ეხმარება, ისიც ხანდისხან და არა მუდამის თანამშრომლობით, ჟურნალს ჩვიდმეტ-თვრამეტ წელიწადს თავზე ადგას. იმანვე დააფუძნა პირველი სამეურნეო გაზეთი „გუთნის დედა“ 1862 წელს.

აი დასაწყისი ჩვენის ახალის ცხოვრების მოძრაობისა, მოძრაობა აქედამ იწყება, იქნება დღესაც სუსტად მომდინარე, მაგრამ მაინც დაიძრა, სათავე მოძრაობისა აქ იწყება.

იქნება ბევრს მის რწმენას არ ვეთანხმებოდით, სხვა-და-სხვა აზრისანი ვიყავით, ხოლო ის-კი დავიხსოვნოთ, რომ მოძრაობის მიზეზი ის იყო.

შინაურად, კერძოდ, ცოცხალი ნათქვამი სიტყვა და მოქმედება დიდი ძალაა, დიდი მოქმედება აქვს ადამიანზე. აქ დამწრეთაგან, იქნება, ბევრნი იყვნენ, რომელთაც ყმაწვილობისას გაეგონოს განსვენებულის სიტყვა, როდესაც გიმნაზიაში ზედამხედველი იყო. ვინ იცის, მის ცოცხალ მოქმედებას თეატრის და მწერლობის სარბიელზედ, ვინ იცის, იქნება, ორიოდე ნათქვამმა მისმა სიტყვამ ფესვი ჩაუდგა მათ ნორჩ გულში და მოუყენებია საზოგადო საქმის გვერდით, რომლისათვისაც დღეს იღწვიან. ნუ დავივიწყებთ ამასაც.

არიან მდიდარნი, არიან ნიჭიერნი, არიან ძლიერნი სწავლითა, მაგრამ გამოუყენებელნი, უქნელნი საქვეყნო საქმისათვის. არიან ისეთნი, რომელთაც სისუსტე ან ნაკლულევანებაც აქვთ, მაგრამ კერძო კაცის ნაკლულევანებას გასწმენდენ და განბანენ ხოლმე თავისის საქვეყნო ღვაწლითა და საზოგადო საქმისათვის თავ-დადებითა. ცოცხლებს, ვერ მივუტევებთ, მაგრამ ამ სოფლის დამტკიცებული სისუსტე ანუ შეცთომა უნდა დავივიწყოთ. ამისათვის უნდა მოვრიგდეთ ამ საფლავზედ და თავი მოვიხაროთ მის ამაგისა და ჭირნახულისა წინაშე.

მშვიდობა შენს საფლავსა! შენს სახელსა ქართველთ ლიტერატურის ისტორია არ დაივიწყებს. მშვიდობა სახსენებელსა შენსა!

და და არც ჩვეულება მაქვს სიტყვის წარმოთქმისა, მაგრამ პატივცემულ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზს გარდა საერო კაცისაგან ჩვენის მწერლობის ანუ საზოგადოების მხრივ რომ ხმა აღარავინ ამოიღო მოღვაწე კაცის უკანასკნელ პატივის საცემად, ეს ვეღარ მოვითმინე. სამღვდელოება მოშორდა საფლავსა, ხალხი იშლებოდა, ველოდი, აი აგერ ვინმე ხმას ამოიღებს პატივისცემის განცხადებისათვის. მე მინდოდა, რომ ისეთს ამოეღო ხმა, ვინც მწერლობის ასპარესზე მასთან არ შებაასებულა, და არა ჩემისთანა, რომელიც პოლემიკაში რეულა. დაჩუმება ვეღარ მოვითმინე და მოუმზადებლად წარმოვთქვი მოხსენებული სიტყვა, რაც გულში მქონდა, წარმოვთქვი. იქნება უხერხულად მომივიდა, მაგრამ ვცდილობ სრულის სისწორით და სიმართლით გადმოგცეთ უკლებლად, თუნდა საყვედურათაც ჩამეთვალოს ზოგი ნათქვამი.

პეტრე უმიკაშვილი

4 იანვარს

## უცხოეთი

**ინგლისი.** ამბობენ, რომ გლადსტონი თავის პროექტს ირლანდიის თვით-მმართველობისასა და განთავისუფლებისას 6 თებერვალს წარუდგენს პარლამენტსაო. ინგლისის გამოჩენილს ექიმს კლარკს-კი უთქვამს, რომ გლადსტონი სამხრეთიდამ ჯერ აგრე მალე ვერ დაბრუნდება, რადგან ლონდონის ჰავა და ნისლიან-ღრუბლიანი დარები არ არგებსო.

— გამოძიება უკვე დაიწყო იმ აფეთქების გამო, რომელიც დუბლინში მოხდა. როგორც ამბობენ, ამ აფეთქებით აზრად ჰქონდათ ჯონ მორლეის მოკვლა. გამოძიების ხელ-მძღვანელად დანიშნულია პოლიციის უფროსი ო'დონნელი.

**ავსტრი-ვენგრია.** გრაფ ტააფეს მოლაპარაკება აქვს სხვა-და სხვა დასის წარმომადგენლებთან, რომ მტკიცე უმრავლესობა იზრუნოს რეიხსრატში მთავრობის მომხრედ. ეს უმრავლესობა უფრო იმიტომ არის საჭირო, რომ ფრთა შეაკვეცონ როგორმე ჩეხების სურვილთა და მისწრაფებათა. ტააფეს უნდა მიიმხროს პოლშელების დასიცა, მაგრამ პოლშელელების დასს ეძნელება ეს საქმე, რადგან შიშობს, რომ მით თავისი ეროვნული წადილი და მისწრაფებანიც არ დააბრკოლოს. ჩეხთა გაზეთი „Politik“-ი ამბობს, რომ გრაფ ტააფე ტყუილად სცდილობს შეაჩეროს წინ-სვლა ისტორიისა, ან შესცვალოს მიმართულება ისტორიულის გზისაო. ჩვენსკენ არის სიმართლე, და დღეს ისეთი დრო დადგა ევროპაში, როცა სიმართლე ადრე, თუ მალე, გაიმარჯვებსო.

**საფრანგეთი.** აგერ ორი თთვეა, რაც საფრანგეთი დიდს უსიამოვნო საქმეს შეემთხვა—პანამის საქმეს და მას უკან, არ იქნა, მის გამო ათას ვაივაგლახს თავი ვეღარ დააღწია. მართალია, სამართალი მხნედ ჰმოქმედობს, მაგრამ, რაც უფრო დრო მიდის, თანდათან უფრო მეტი უსიამოვნობა ჩნდება. ამ ახლო ხანებში ერთი მინისტრად ნამყოფი კიდევ გაება პანამის ქსელში—ბაიო და დაპატიმრებულ იქმნა ქრთამების აღებისათვის. სამხედრო მინისტრი ფრეისინე აღარ არის სამინისტროში, ფლოკე გადადგა პალატის პრეზიდენტის თანამდებობიდამ. ჰფიქრობენ, რომ სენატი გადააქციონ უმაღლეს სამსჯავროდ, რადგან ბრალდებულთა შორის არიან მინისტრები და მინისტრად ნამყოფნი, ხოლო ამათ ჩვეულებრივი სასამართლო ვერ გაასამართლებსო. ამ აზრს უარ-ჰყოფენ. პელეტანი ამბობს გაზ. „Justice“-ში, რომ სენატის გადაქცევა სრულიად არ არის საჭირო უმაღლეს სამსჯავროდაო. მინისტრი რუვიეც ბრალდებულთა შორის იყო ამას წინად, მაგრამ პალატამ საჭიროდ არ დაინახა, სენატს მინდობოდა განხილვა პანამის საქმისაო. ასეა თუ ისე, საქმე ძალიან გამწვავებულია, და თვით სამინისტროში ამის გამო, როგორც ამბობენ, უთანხმოება, მოურიგებლობა სუფევსო.

## გასართობი

წერილები რედაქციის მიმართ

I

უმორჩილესად გთხოვთ, შემატყობინოთ, კახეთის რკინის გზა უკვე გაიყვანეს და მატარებლები დადიან კიდეც, თუ არა? უკეთუ ეს გზა ჯერ არ გაუყვანიათ, გთხოვთ შემატყობინოთ, როდის მოხდება საგანგებო კრება თავად-აზნაურთა ბანკის წევრთა, შესახებ იმ ფულის გადადებისა, რომელიც საჭიროა კახეთის რკინის გზის გამოსაკვლევად?

მოუთმენელი

1893 წელი. 7 იანვარი

II

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთი „ივერია“ მუქთად მიგზავნოთ ამა 1893 წლის განმავლობაში, რადგანაც დიდად აღჭურვილი ვარ ამ გაზეთის კითხვის სურვილითა. ამასთანავე გთხოვთ, გაზეთთან ერთად კაციც გამომიგზავნოთ ხოლმე და დავალოთ, გაზეთი ყოველ დღე წამიკითხოს, რადგანაც, თუმცა, მართალია, ქართველი კაცი ვარ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ქართული კითხვა არ მისწავლია.

პატრიოტი

1893 წელი. იანვარი. საქართველო

III

ბატონო ივერია!

თუ მიიცალო

ეს ჩემი წერილი ჩაიწერე ნაკლანდევს არ გამაწბილო და მერე გავალ-გავალ დაკვინწილებულს ამბავს მოგწერავ იმისანე იქნება რომ თით ჩაატკვერ შით ტატატა ფაფაფა სულ გეიკვირებ თქვენი ვეთილის მდომი.

ძ. ე.

1893 წელი 7 იანვარი ბათუმი

IV

ტყუილად იმედი ნუ გაქვთ, რომ თავად-აზნაურობა კახეთის რკინის გზას გაიყვანს, რადგანაც, მართალია, სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვით კახეთის რკინის გზას გასაყვანად ჯერ ფული არ არის გადადებული, მაგრამ, უეჭველია, ამ ფულს გადასდებენ და კიდევ იმიტომ, რომ, მართალია, მთავრობას ჯერ ფიქრად არ მოსვლია ამ რკინის გზის გაყვანა, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ეს ფიქრი მოუვიდეს. ამასთანავე იმასაც მოგახსენებთ, რომ სახლების აშენებელი საზოგადოება სახლებს ვერ აშენებს და ღვინის ვაჭრობის საზოგადოება ღვინით ვერ ივაჭრებს.

T.

1893 წელი. დეკემბერი და იანვარი. ქ. ტფილისი

???

## დეპეშა

5 იანვარი

**პეტერბურგი.** ბუხრის ემირს უმაღლესად ებოძა ბრილიანტის ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა.

გუშინ ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ ანიჩკოვის სასახლეში მიიღეს ბუხრის ემირი შვილითურთ. შემდეგ იმპერატორის წინაშე წარსდგა ემირის ამალა. ბოლოს მისი უდიდებულესობა შებრძანდა იმ დარბაზში, სადაც ბუხრის ემირის მიერ მირთმეული საჩუქრები ელაგა.

ალებ-მიცემობისას. ნაყოფიერება ამ ჩინებულის აზრისა იყო მიზეზი, რომ ჩვენი გაზეთი სიხარულით მიეგება კახელების განზრახვას და უწინასწარმეტყველა ამ საქმეს დიდი მერმისი. ფრიად დიდი მერმისი ამ საქმისა აშკარაა ყველასთვის, გარდა გაზეთ „მეურნისა“, რომელიც თავისს უკანასკნელ ნომერში ეკამათება „ივერიას“ და ამბობს: მართლა კაი საქმეაო, მაგრამ „უფულოდ-კი არ იქნებაო“ და კარგი დიდი ფულიც მოუნდებაო. „მეურნე“ კიდეცა ანგარიშობს, რომ საქმის განხორციელებას მოუნდება სულ უკანასკნელი ათი-ათას ოთხას თუმნამდე ფული მაინც და სად იშოვნით ამ ფულს, თუ ან ბანკი არ გამოიღებს, ან ვაჭრებს არ მიიმხრობთო. ჩვენ მხოლოდ ეს გვაკვირვებს, ასე მცირედ რათა ანგარიშობს გაზეთი „მეურნე“ საჭირო ფულს. ჩვენა ვფიქრობთ, რომ ათი-ათას ოთხასი თუმანი-კი არა, იქნება ათი და ოცი მილიონი მანეთიც არ ეყოს ამ საქმეს, თუ-კი იგი დაიწყეს იმ ანგარიშით, როგორც სასურველია და როგორც უნდა, რომ გაუძღვეს არა მარტო კახეთის, არამედ მთელის საქართველოს მეღვინეობას. „ივერიას“ ჯერ არ უთქვამს, რომ აი ამდენი და ამდენი დაგჭირდებათ ფულიო. იგი მხოლოდ ამობდა—დაარწმუნეთ ქვეყანა, რომ საქმე საფუძვლიანად დაგიჭერიათო, რომ ღვინისთვის მიგიციათ შეუცვლელი გემო, ძალა გზის ატანისა, გამძლეობა—და მაშინ იმოდენა ფული მოგაწყდებათ, რომ სულ „აღარ მინდა“ იძახოთო. ჯერ საქმე და მერე ფულიო. ფული თითონ ეძებს საქმეს, თუ საქმე კარგა გაქვთ დაჭერილი, თითონ ფულივე შეგეხვეწებათ—მეც წილი დამიდეთო. არამცა და არამც უფულობამ არ შეგაშინოთო. „მეურნე“-კი ნაცვლად იმისა, რომ შეეშველოს ფეხადგმულ აზრს თვითმოქმედებისას, გვაშინებს—აბა, ჯერ ფული დამანახვეთ და მერე საქმეზედ მოგელაპარაკებითო. რადგან ფული არ მოგეძებნებათ, ისევ ან ბანკს გაუწოდეთ ხელი, ან ღვინის ვაჭრებსაო. მერე რომ გაუწოდოთ, ან ბანკი რად მოგვცემს ფულს, ან ვაჭრები, თუ-კი არ დავუმტკიცებთ, რომ სახეირო საქმეზედ წავა მათი ათი-ათას ოთხასი თუმანი, რომ მართლა ჩვენი ღვინო ბაზარში ყველგან თავს დაიჭერს? აშკარაა, რომ ჯერ უნდა მოიპოვოთ რწმენა ქვეყნისა, დააჯეროთ ყველანი საქმის სიკეთეზედ და შემდეგ ფულის იმედიც იქონიოთ. და თუ შესაძლოა დარწმუნება ბანკისა ანუ ვაჭრებისა, რატომ მწარმოებლისა, მხმარებლისა და სხვების დარწმუნება არ უნდა შეიძლებოდეს!

ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი ღვინის და ყველა სხვა წარმოების საქმე საქართველოში. აგერ საქმეს ხელი მოჰკიდეს მცოდნე კაცებმა, შეისწავლეს მისი ვითარება ჩვენშიაც და სხვაგანაც. გამოიძიეს, გამოიკვლიეს ყოველივე წვლილი, ააგეს დაურღვეველ გეგმაზედ საქმის წარმოება, „ანიდგან“ დაწყებული „ჩემდე“, წარდგნენ წინაშე მწარმოებლისა და უთხრეს: „აი უტყუარი მერმისი შენის ნაწვავ-ნადაგისა, აი შენი ეკონომიური ხსნა, აი წყარო შენის მოღონიერებისა და აი ხერხიც ამ წყაროს მოპოვებისა. მოდი, შევებნათ ერთ უღელში და „ვწიოთ ჭაპანი ჩვენი“ ძმურად, საამხანაგოდ და ანგარიშით“.

ამისთვის საჭირო როდი არის ათი-ათას ოთხასი თუმანი. აქ რამდენიმე მანეთიც საკმარისია. ხოლო როდესაც მწარმოებელნი ჩაერევიან საქმეში, გაუძღვებიან მას თაოსნობით, მუყაითობით და პატიოსნებით, დაანახვებენ ქვეყანას, რომ იგინი მართლა საქმეში ჩაბმულანო, მაშინ ფულიც შეისხამს ფრთებსა, მოჰნახავს მათ და იმოდენა სახსარს მისცემს, რომ მარტო კახეთის ღვინის მარანიკი არა, მთელის საქართველოს მარანი გაჰხსნათ, სადაც ცალკე სარდაფებში გექნებათ ღვინო კახეთისა, ღვინო ქართლისა და ღვინო იმერეთისა, რადგან ამათ თავ-თავიანთი მუშტარი ეყოლებათ, და წევრი თქვენის საზოგადოებისა მარტო კახეთის თავად-აზნაურობა-კი არ იქმნეია, არამედ ყოველი მწარმოებელი ღვინისა მთელის ჩვენის ქვეყნის მიწა-წყალზედ. და აქ ხომ ათი-ათას ოთხას თუმნით გრძელს მანძილს ვერ გავივლით.

სანო

30 დეკემბერს სამარა-ზლატოუსტსკის რკინის გზის მატარებლით მოდიოდა ახლად მოკრებილი 200 ჯარის-კაცი. ერთს ვაგონში კონდუქტორს პახომოვს ფარანი დარჩა და ვაგონის იატაკს ცეცხლი წაეკიდა. მატარებელი გააჩერეს და ვაგონები ერთმანეთს დააშორეს. ჯარის-კაცთა შორის ბევრმა მოასწრო ვაგონებიდგან გამოსვლა. 40 კაცამდე დაიწვა, 8 კაცი კვამლში დაიხრჩო, 7 კაცი დაშავდა. ამათში ერთი გარდაიცვალა და ექვსი უფას სარკინისგზო სამკურნალოში გაჰგზავნეს.

„Бирж. Вѣд.“-ი იუწყება, რომ 25 იანვარს ხელ-მეორედ დაიწყება კრებანი პურის ვაჭრობის საქმეთა განსახილველად დაარსებულ კომისიისა; კომისიის წევრთ გაეგზავნათ პროექტი, რომელიც შეეხება პურის ვაჭრობას რუსეთის იმპერიაში.

**პარიჟი.** ხვალ რიბო პალატას წარუდგენს ახალს კანონ-პროექტს შესახებ იმისა, რომ სასამართლომ გაარჩიოს ხოლმე საქმე იმ მწერალთა, ვინც ჟურნალ-გაზეთის შემწეობით შეურაცხჰყოფს უცხო ქვეყნების ხელმწიფეთ და საფრანგეთში მყოფ ელჩებს.

სასამართლოს გამომძიებელმა შარლ ლესეპსს, კოტტიუსა და ფონტანს ჩვენება ჩამოართვა. პანამის საზოგადოების სამთავე მმართველმა განაცხადეს, რომ ჩვენს საზოგადოებას არავითარი საქმე არ დაუჭერია უცხო ქვეყნების ელჩებთანაო. გამომძიებელმა კომისიამ მოისმინა სუვორინის შვილის თხოვნა. სუვორინმა სთხოვა კომისიას, ჩვენება ჩამოართვით რუვიესა და ფლურანსს, რომელთაც შეუძლიანთ დაამტკიცონ, რომ სრულიად უსაფუძვლოა ის ხმები, ვითომ რუსეთის ჟურნალ-გაზეთებს ქრთამი აუღიათ პანამის საზოგადოებისაგანაო. შემდეგ კომისიამ მოისმინა სიტყვა ტატიშჩევისა, რომელმაც სთქვა: „თუ ამ ორის თთვის განმავლობაში ჩვენ წინაამდეგ ჯერ არავითარი საბუთები არ აღმოგიჩენიათ, ეს ამბავი შეატყობინეთ საფრანგეთსა და მთელს ევროპას; ჩვენა გთხოვთ, აგვაცილოთ თავიდგან ის ცილის წამება, რომელსაც შეუძლიან ჩირქი მოსცხოს ორსავე სახელმწიფოს მეგობრულს კავშირსაო“.

გუშინ ბუხრის ემირმა ინახულა იმპერატორის გვარეულობა და ყველას საჩუქრები მიართვა; დიდ მთავრებს ემირმა მიართვა ბრილიანტებით შემკული 1 ხარისხის ორდენები ამომავალ ვარსკვლავისა.

ფინანსთა სამინისტრომ მიჰმართა მარილისა, თევზის ვაჭართ და საზოგადოდ მეურნეობის მცოდნე კაცებს და სთხოვა, გაუწერელ ხარჯთა დეპარტამენტის დირექტორს წარუდგინეთ თქვენი აზრი მარილზედ ბაჟის შემოღების შესახებაო.

„Бирж. Вѣд.“ იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტრომ უკვე დაასრულა ქირით გაცემულ სახლებზედ გარდასახადის შემოღების პროექტის განხილვა; ამ მოკლე ხანში პროექტს სახელმწიფო საბჭოს წარუდგენენ.

**ლონდონი.** შირ-აფზულ ხანი, რომელიც ჩიტრალში დამარცხების შემდეგ ქაბულს გაიქცა, ამ ჟამად ავღანის ემირმა ტყვეთ შეიპყრო.

**ქაირი.** ინგლისის სადიპლომატო აგენტმა კრამერმა ქედივს შემდეგი ულტიმატუმი გაუგზავნა: „ახალი სამინისტრო 24 საათის განმავლობაში დაითხოვეთო“. სალამოთი აგენტს პასუხი მოუვიდა, ქედივის სურვილის გამო, ფაკრი-ფაშამ სამსახურიდგან გადადგომის თხოვნა შეიტანაო.

**პარიჟი.** მინისტრმა ბურჟუამ სენატს პროექტი წარუდგინა შესახებ იმისა, რომ ვინც უცხო ქვეყნების ხელმწიფეთა და ელჩებს შეურაცხჰყოფს, სამართალში იქმნას მიცემულიო; პროექტი კომისიას გადასცეს. კანონ-პროექტის განხილვა აუცილებელ საჭიროებად აღიარეს და ხუთშაბათს იქმნება განხილული.

პანამის საქმე: მთავარმა ვექილმა სთქვა, რომ, რადგანაც ბრალდებულთ თავი ვერ გაიმართლეს, ამიტომ ვთხოვ სასამართლოს თავისი მსჯავრი დასდოს ამ საქმესა და დასაჯოს დამნაშავენი, მათ შორის ფერდინანდ ლესეპსიცა, მიუხედავად იმისა, რომ მან უწინ დიდი სახელი მოიხვეჭა; შემდეგ მთავარ-ვექილმა გაარჩია ყველა ის საბუთნი, რომელნიც ამტკიცებენ ბრალდებულთა დანაშაულობას.

6 იანვარი

**ბერლინი.** გერმანიის სახელმწიფო ბანკმა დასწია დისკონტი 4-დგან 3%-მდე.

**ლონდონი.** კაირიდგან სწერენ გაზეთ „Times“-ს, რომ მთავარ მინისტრი, რომელიც წინაამდეგია ბრიტანიის რეფორმებისა, ისე დანიშნეს, რომ სადიპლომატო აგენტს არ შეატყობინეს; სჩანს, რომ ქედივს ჰსურს ინგლისი ეგვიპტეს საქმეებში არ გაერიოს; ახალი მინისტრები წინაამდეგობას უწევენ ინგლისის მოხელეებს.

მეთაურ წერილში „Times“-ი ამბობს, რომ ქედივს ვურჩევთ, ახსოვდეს ის ბედი, რომელიც იზმაილ-ფაშას ეწვიაო.

**პარიჟი.** სასამართლოს გამომძიებელი ფრანკევიჩი დღეს ჩვენებას ჩამოართმევს იმ 10 დეპუტატს, რომელთაც ჯერ არავითარს დანაშაულობას არ აბრალებდნენ.

შეცდომის გასწორება: ჰელზენკირხენიდგან 5 იანვრის დეპეშა ტელეგრაფს სწორედ არ გადმოუცია. უნდა იყოს: დღეს დააპატიმრეს მთა-მადნების მუშათა საზოგადოების თავმჯდომარე შრედერი; გაფიცვა შეიძლება გათავებულ საქმეთ მივიჩნიოთ.

პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბ.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,88 | 7,93 | —,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 157 3/4 | 158 1/2 | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | —,, | —,, | 245 3/4 |
| —მეორისა . . . . | —,, | —,, | 221 1/2 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | —,, | —,, | 192 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | 102 1/2 | —,, | —,, |
| 5% . . . . . | 99 7/8 | —,, | —,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102 1/2 | —,, | —,, |
| 5% . . . . . | 99 7/8 | —,, | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | —,, | —,, | 98 3/4 |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: სალამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული | 1 გირ. | | | 5 | კ. |
| წითელი „ | 1-ის ხარისხ. | | „ | 4 | „ |
| „ „ | 2 | „ „ | „ | 3 1/2 | |
| „ „ | 3 | „ „ | „ | 3 | „ |
| თონ. წით. პურ. | 1 ხარ. | | „ | 5 | კ. |
| „ „ „ | 2 | | „ | 4 | „ |
| „ „ „ | 3 | | „ | 3 1/2 | |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. | ლავაშ. | 1 გ. | | 7 | კ. |
| მე-2 | „ | „ | „ | 5 | „ |
| მე-3 | „ | „ | „ | 4 | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | | | | 7 | კ. |
| სუკი | — | — | — | 12 | „ |
| ცხვრის ხორცი | — | | — | 7 | „ |


# განცხადებანი

გამოვიდა და დაურიგდა აგენტებს ქუთაისის ამხანაგობის მიერ გამოცემული

„მწირი“,

ლერმონტოვისა

ნათარგმნი გრ. აბაშიძისაგან.

ფასი ორი შაური

(3—3)

**მარიამ ივანეს ასული ფედოროვისა, ალექსანდრე, ნიკოლოზ და კონსტანტინე რომანოზის ძენი ფედოროვები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა, ხოლო დანარჩენნი—ძმისა თვისისა **ივანე რომანოზის ძის ფედოროვისას.** პანაშვიდი დანიშნულია დღეს შუადღისას და სალამოთი 7 საათზედ. წირვა გადახდილ იქმნება კორპუსის ეკლესიაში შაბათს, 9 დეკემბერს. (2—1)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 50 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 75 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 75 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და სალამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და სხვაგანაც ვალერიან გუნიას მიერ შედგენილი და გამოცემული

## საქართველოს კალენდარი

1893 წ.

კალენდარი შეიცავს 500-მდე კარგად დასტამბულ გვერდს დიდის ფორმატისას. «საქართველოს კალენდარი» 1893 წლისათვის დასურათებულია მრავალის, როგორც უცხო ქვეყნების, აგრეთვე ქართველ მწერალ მოღვაწეთა სახსატებით. ფასი უყდოდ 45 კაპ. ყდაში 55 კაპ.

უბის წიგნი 1893 წლისათვის

მშვენიერის ყდიან-ყარანდაშით და რეზინით 40 კაპ.

## სახალხო კალენდარი 1893 წ.

მრავალის ცნობებით და საჭირო გამოსადეგ რჩევა-დარიგებით ფასი ერთი შაური.

იქვე ისყიდება ეხლა-ხან გამოსული ახალი წიგნი, ვალ. გუნიას მიერვე შედგენილი,

ქართული მიწერ-მოწერის კრებული

სრული და გრძელი სახელმძღვანელო სხვა-და-სხვა ბარათებისა და წერილების შესადგენად უკველ გვარ შემთხვევისთვის. წიგნში 208 გვერდია სამ ნაწილად.

**ფასი ორი აბაზი, ყდით ათი შაური**

ყველა ვინც ნაღდ ფულად გამოიწერს ამ წიგნებს არა ნაკლებ 4 და 5-ის ცალისა, დაეთმობა 20%.

ვისაც საკომისიოდ ჰსურთ კალენდრების წაღება, შეუძლიანთ მიჰმართონ „წერა-კითხვის გამავრც. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან: ფრეილინის ქუჩა № 5, (6—4)


Доз. ценз. Тифлисъ, 7-го Января 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.